

პიროვნების კულტი უცხოა მარქსიზმ-ლენინიზმის სულისკვათაბისათვის

„კომუნისტის“ 22 მარტის
მომხინავე

განუზომლად დიდი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მე-20 ყრილობის—კომუნისმის მშენებელთა ყრილობის, ისტორიული როლი და მნიშვნელობა როგორც ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი მუშაობის, ისე საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის შემდგომი აღმავლობისათვის.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ყველა წარმატება მოპოვებულია იმის შედეგად, რომ მოწოდების დონეზე იდგა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტი, რომელსაც სწორად მიჰყავდა საბჭოთა ხალხი კომუნისმის მშენებლობის გზით.

ყრილობაზე აღინიშნა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმატებით საქმიანობას საფუძვლად ედო მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების შემოქმედებითი გამოყენება, კოლექტიური ხელმძღვანელობისა და შინაპარტიული დემოკრატიის ლენინური პრინციპების უაღრესად მტკიცედ დაცვა, განუხრელად შესრულება ლენინის მითითებისა ხალხთან ჩვენი პარტიის მთელი ამ წლების მანძილზე პარტიას მალა ეჭირა უკმავე ლენინის დიადი დროშა.

უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აღადგინა ხელმძღვანელობის კოლექტიურობის ლენინური პრინციპი, ყველა ღონისძიებით ხელს უწყობდა კომუნისტებისა და ფართო მასების შემოქმედებითი აქტივობის განვითარებას, გადაჭრით გაილაშქრა პიროვნების კულტის წინააღმდეგ, რომელიც უცხოა მარქსიზმ-ლენინიზმის სულისკვეთებისათვის და რომელიც ამცირებდა პარტიისა და მასების როლს, სერიოზულ შეცდომებს იწვევდა ჩვენს მუშაობაში.

პიროვნების კულტი უაღრესად მავნეა. იგი ისტორიაში პიროვნების როლის შესახებ მარქსისტულ ლენინური მოძღვრების უხეში დამახინჯებაა. პიროვნების კულტი გარდუვალად იწვევს პარტიისა და მისი ხელმძღვანელი ბირთვის წარმმართველი როლის დამცირებას, პარტიული მასების ინიციატივისა და შემოქმედებითი აქტივობის მოდუნებას, გზას უხშობს წინსვლის მძლავრ საშუალებას—კრიტიკასა და თვითკრიტიკას. კოლექტიური ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპის უგულვებელყოფა, პიროვნების

კულტი საფუძვლად ედებოდა ერთპიროვნულ გადაწყვეტილებებს, იწვევდა თვითნებობას და გარკვეულ პერიოდში ზიანს აყენებდა პარტიული ხელმძღვანელობის საქმეს.

ცნობილია, თუ რა დიდი სიძულვილით იყვნენ გამსკვავლულნი ყოველგვარი კულტის მიმართ მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებლები მარქსი და ენგელსი. პიროვნების კულტის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ სასტიკად ილაშქრებდა ვ. ი. ლენინი, რომელმაც გამანადგურებელი ლახვარი ჩასცანაროდნიკებისა და ესერების ყალბ თეორიას „გმირებისა“ და „ბრბოს“ შესახებ, მასებისათვის „გმირის დაპირისპირების თეორიას. „მხოლოდ ის გაიმარჯვებს და შეინარჩუნებს ხელისუფლებას, — ამბობდა ვ. ი. ლენინი, —ვისაც რწმენა აქვს ხალხისა, ვინც ჩაეშვება ხალხის ცოცხალი შემოქმედების წყაროში“.

მარქსიზმ-ლენინიზმი როდი უარყოფს პიროვნების როლს ისტორიაში. გამოჩენილ პიროვნებათა ძალა საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერი პროცესის წინასწარ განპირობების უნარშია. ისტორიის მანძილზე უსთხოვრებლად ამიტომ პიროვნებათა მოქმედებას არ შეიძლება გარკვეული მნიშვნელობა არ ენიჭებოდეს. მაგრამ პიროვნების კულტი პიროვნების როლის ამგვარი გაგება როდია. მისი მავნეობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი ამა თუ იმ მოღვაწეს აქცევს შეუცდომელ გმირ სასწაულმოქმედად — თითქოს მხოლოდ ის არის მოწოდებული იფიქროს ყველას მაგიერ, აღმერთებს და ისეთ თვისებებს მიაწერს, რომლებიც მას არ შეიძლება ჰქონდეს—თითქოს შეეძლოს მოვლენათა ბუნებრივი სვლის შეჩერება ან შეცვლა, ამავდროს ამ კირებს პარტიისა და ხალხის მასების როლს, იწვევს მათი შემოქმედებითი აქტივობის შენელებას.

მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ მხოლოდ ხალხია უკუდავი, ხალხი რომელიც ისტორიის შემოქმედია. ყოველივე დანარჩენი წარმატებულია. ძალა ხალხშია. ჩინური ანდაზა ამბობს „მთელმა ხალხმა რომ ერთდროულად ამოისუნთქოს, გრიგალი ამოვარდება“. უძლეველია ხალხი, რომელსაც მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე თეორიით შეიარაღებული კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს. კომუნისტური პარტიის ძალისა და ძლიერების წყარო ის არის, რომ იგი მკიდროდ დაკავშირებულია ხალხთან, ფართო მასებთან, რომლებიც კომუნისტურ პარტიაში ხედავენ

შეზომება ინტერესების დამცველს, საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების კანონების მკოდნე ხელმძღვანელს, ბელადსა და მასწავლებელს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო პარტიის მე-20 ყრილობის რეზოლუციაში ნათქვამია, რომ კომუნისტებისა და ყველა მშრომელის აქტივობის გადიდებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ისტორიაში პიროვნების როლის მარქსისტულ-ლენინური გაგების ფართო განმარტებას. ყრილობას მიაჩნია, რომ ცენტრალური კომიტეტი სავსებით სწორად გამოვიდა პიროვნების კულტის წინააღმდეგ, რომლის გავრცელება ამცირებდა პარტიაში კოლექტიური ხელმძღვანელობის როლს და ხშირად იწვევდა სერიოზულ შეცდომებს მუშაობაში. ყრილობამ დაავალა ცენტრალურ კომიტეტს არ შეასუსტოს ბრძოლა პიროვნების კულტის ნაშთების წინააღმდეგ. მთელ თავის მოღვაწეობას საფუძვლად დაუდოს ის, რომ ახალი ცხოვრების ნამდვილი შემოქმედნი არიან ხალხის მასები, რომლებსაც კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოვალეობაა ფართო პრობანდა გაუწიონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მე-20 ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, მტკიცედ იხელმძღვანელონ დიდი ლენინის მითითებით იმის შესახებ, რომ პარტიული ხელმძღვანელობის უმაღლესი პრინციპია მისი კოლექტიურობა, პარტიის ძალა მასებთან ფართო კავშირი, წინსვლის მთავარი პირობაა შეუზღუდავი კრიტიკა და თვითკრიტიკა.

პარტიის მე-20 ყრილობის წინასწარდასახულობათა წარმატებით განხორციელებისათვის, ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ პარტიის მე-20 ყრილობის დირექტივებით ვათვალისწინებულ გრანდიოზულ სამუშაოთა გადაკარბებით შესრულებისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ პარტიული ორგანიზაციები სათავეში ჩაუდგნენ მასების შრომითს აღმავლობას, უღმობელი ბრძოლა გააჩაღონ ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის გადმონაშთების აღმოფხვრისათვის, იბრძოლონ პიროვნების კულტის ნაშთების წინააღმდეგ, მტკიცედ დაიცვან პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმები და ყველაფერი გააკეთონ იმისათვის, რომ დააჩქარონ სოციალიზმიდან კომუნისმში თანდათანობით გადასვლა.

ლიალი ლენინური პარტია

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მე-20 ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა ხალხის საყოველთაო მოწონება პოვა. საბჭოთა ადამიანები ერთსულადად აღსაყვამდები:

—შენთან ერთად, ლენინური პარტია, ჩვენ წავალთ წინ, ახალ-ახალი გამარჯვებისაკენ! მშობლიური პარტია საბჭოთა ხალხს მიაჩნია ღიად წარმართველ, მორგანიზებელ და გარდამქმნელ ძალად. კომუნისტური პარტია, ამბობდა ვ. ი. ლენინი, ჩვენი ეპოქის გონება, პატოსნება და სინდისია. მან სოციალიზმის გამარჯვებამდე მიიყვანა ჩვენი ქვეყანა. მისი ხელმძღვანელობით მიღწეულია დიდი წარმატებები კომუნისტურ მშენებლობაში. ხალხისადმი თავდადებული სამსახურით, მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის დაუცხრომელი ბრძოლით საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ უდიდესი ავტორიტეტი მოიპოვა არა მარტო ჩვენი ქვეყნის მშრომელებში, არამედ მთელი მსოფლიოს ხალხთა მასებშიც.

ჩვენი პარტია იმარჯვებდა და იმარჯვებს თავისი ერთგულებით ლენინიზმისადმი. ლენინური იდეებით არის გამსჭვალული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მე-20 ყრილობის ყველა გადაწყვეტილება.

თავის საქმიანობაში კომუნისტების პარტია გამოდის როგორც ერთიანი, მონოლითური კოლექტივი, რომელმაც არ იცის შიში ბრძოლაში და მერყეობა ლენინური გენერალური ხაზის განხორციელებაში. პარტიის იდეურ-პოლიტიკური და ორგანიზაციული ერთიანობა, დარაზმულობა ცენტრალური კომიტეტის გარშემო მისი ძალის, სიმტკიცისა და უძლეველობის წყაროა.

პარტიული ორგანიზაციების აქტივობის გაძლიერება კომუნისტური მშენებლობის ამოცანების გადაჭრაში განუყრელად დაკავშირებულია იმასთან, რომ ჩვენს პარტიაში თავიდან ბოლომდე აღდგენილია პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმები, კოლექტიური ხელმძღვანელობის პრინციპები, რომლებიც წინათ არაერთხელ ყოფილა დარღვეული. ცნობილია, რომ პიროვნების კულტის გავრცელება წარსულში მთელ რიგ შემთხვევაში იწვევდა თვითნებობას, შიშველ ადმინისტრირებას, კოლექტიური ხელმძღვანელობის, პარტიისა და ხალხის მასების როლის დამცირებას, სერიოზულ შეცდომებს მუშაობაში. ამიტომ ასე მტკიცედ გაილაშქრა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა პიროვნების კულტის წინააღმდეგ.

კომუნისტთა პარტიისათვის მისი ხასიათის გამო უცხოა ყოველგვარი თავყვანისცემა ცალკეული პირების ავტორიტეტისათვის, ცალკეულ ხელმძღვანელთა როლის გაზვიადება.

დება. მხოლოდ მტკიცე კოლექტივობა, კოლექტიური სიბრძნე ცენტრალური კომიტეტისა, რომელიც ეყრდნობა მარქსისტულ-ლენინურ თეორიასა და პარტიული მასების ფართო ინიციატივას, უზრუნველყოფენ პარტიისა და ქვეყნის სწორ ხელმძღვანელობას.

ჩვენი პარტიის სულისკვეთება და ხასიათი მოითხოვენ დავიცვათ უმაღლესი ლენინური პრინციპი—ხელმძღვანელობის კოლექტიურობა, შინაპარტიული დემოკრატიის გაშლა. კომუნისტთა პარტია არის თვითმოქმედი ორგანიზაცია, ნებაყოფლობითი საბრძოლო კავშირი თანამოაზრეთა და თანამებრძოლთა, რომლებიც მკიდროდ არიან შეკავშირებული მიზნის, მოქმედების, დისციპლინის ერთიანობით. არა ანგარება, არა პირადი სარგებლობა აიძულებს ადამიანებს შევიდნენ ამ კავშირში, არამედ კომუნისმისადმი სამსახურის კეთილშობილური მიზანი. მთელი საქმიანობა პარტიულ ორგანიზაციებში წარმოებს მუშაობაში ყველა კომუნისტის აქტიური მონაწილეობის საფუძველზე.

„ეს იმას ნიშნავს,—განმარტავდა ვ. ი. ლენინი,—რომ პარტიის ყველა საქმეს, უშუალოდ თუ წარმომადგენლების საშუალებით, უძღვება პარტიის ყველა წევრი თანასწორი უფლებით და ყოველგვარი გამოწკნისის დაუშვებლად; ამასთან პარტიის ყველა თანამდებობის პირი, ყველა ხელმძღვანელი კოლექტივი, ყველა დაწესებულება—არჩეული, ანგარიშვალდებულია და იცვლება“.

(თხზ. ტ. 11, გვ. 524).

პარტიული აქტივისტი ადმინისტრატორი კი არ არის, არამედ წინამძღოლი, ორგანიზატორი, აღჭურვილი კომუნისტთა და უპარტიოთა ნდობით. მან უნდა უზრუნველყოს პარტიული, სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყველა საკითხის თავისუფალი და ყოველმხრივი განხილვა, მტკიცედ დაიცვას შინაპარტიული დემოკრატია, ხელი შეუწყოს კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლას.

კომუნისტური პარტია გულმოდგინედ აუშჯობესებს ხელმძღვანელობის მეთოდებსა და სტილს, ასწავლის მთელ ჩვენს კადრებს უხელმძღვანელონ ოპერატიულად, საქმის ცოდნით, ამასთან მთავარი ყურადღება მიაქციონ გადაწყვეტ უზნებს, ამისთვის კი საჭიროა შეისწავლონ ტექნიკა და ეკონომიკა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მე-20 ყრილობამ მკაცრად დაგმო ხელმძღვანელობის კანცელარიული ბიუროკრატიული მეთოდები, რომლებიც აქა იქ არის დამკვიდრებული. არ უნდა დავუშვათ, რომ ქალაქი ფარავდეს ადამიანებთან მუშაობას, ხოლო გადაწყვეტილებებს არ მოსდევდეს ცოცხალი საქმე, რომ ისინი არ ხორციელდებიან. რაც უფრო სწრაფად და გადაჭრით დავალწევთ თავს დეკლარაციულობას, ზეარელობასა და კანცელარიუ-

ლობას, მით უფრო კარგად წავა ჩვენი საქმე. პარტიული ორგანიზაციების ცოცხალი ორგანიზატორული საქმიანობის გაძლიერებას ხელს შეუწყობენ ყრილობაზე მიღებული ნაწილობრივი ცვლილებანი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდებაში.

პარტიის ძალაა მისი განუყრელი კავშირი ხალხთან, თვითეული პარტიული ორგანიზაციის, თვითეული კომუნისტის მოვალეობაა მუდამ იყოს მასებში, უძღვებოდეს უპარტიოებს, იცნობდეს მათ საქირობებს, განწყობილებასა და გულსხმიერად უგდებდეს ყურს მათ რჩევასა და წინადადებებს. კომუნისტისათვის, ღია ლენინური პარტიის აქტიური მებრძოლისათვის, უდიდესი ბედნიერებაა ბრძოლა ხალხის—ისტორიის შემოქმედის, ყველა მატერიალური და სულიერი დოვლათის შემქმნელის ინტერესებისათვის.

პარტიის ბრძოლისუნარიანობა და ორგანიზებულობა ბევრად არის დამოკიდებული მის პირად შემადგენლობაზე. ამიტომ პარტია მუდამ ზრუნავს თავისი რიგების თვისებრივ ზრდაზე, იმაზე, რომ პარტიის წევრად და კანდიდატად ინდივიდუალურად მიიღოს უმთავრესად მოწინავე მუშები და კოლმეურნეები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მე-20 ყრილობამ უდიდესი ყურადღება დაუთმო იდეოლოგიურ მუშაობას, კომუნისტებისა და ყველა მშრომელის შეგნების გაძლიერებას. პარტიის განსაკუთრებული ზრუნვის საგანია მარქსისტულ-ლენინური იდეების შემოქმედებითი განვითარება და მათი განხორციელება. ყრილობამ მოითხოვა ბოლო მოვულოთ იდეოლოგიური მუშაობის მოწყვეტას ჩვენი მჩქეფარე ცხოვრებისაგან, დავუკავშიროთ იგი კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკას, მთელი პროპაგანდა დაეუმორჩილოთ მატერიალური და კულტურული დოვლათის შექმნის ამოცანებს.

მაშასადამე, თვითეული პროპაგანდისტის და აგიტატორის მოვალეობაა არა მარტო ის, რომ განუმარტოს მარქსიზმ-ლენინიზმის თეორია, არამედ აგრეთვე დაეხმაროს მშრომელებს პრაქტიკულად განახორციელონ იგი. კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება მთელი ჩვენი კადრების შეიარაღებას ეკონომიური ცოდნით. უამისოდ წარმატებით ვერ განვახორციელებთ მეურნეობის ხელმძღვანელობას, სწრაფი ტემპით ვერ განვაავითარებთ საზოგადოებრივ წარმოებას. მე-20 ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით შეიარაღებულ კომუნისტურ პარტიას ლენინიზმის დროშით მტკიცედ მიჰყავს ჩვენი ქვეყანა კომუნისმისაკენ.

ბ. ბრანსკვი.